განკარგულება:**გ-27. 27233624**
თარიღი:**28/12/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 70

28 დეკემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 24–ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. ქალაქ თელავში, ჭადრის ქუჩა N1ᵃ-ში მდებარე ჭადრის ხეს (საკადასტრო კოდი: 53.20.35.293) მიენიჭოს ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსი;

2. ჭადრის ხის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვროს დანართის შესაბამისად;

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

ჭადრის ხის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები

ქალაქ თელავში მდებარე ჭადრის ხე (აღმოსავლეთის ჭადარი - Platanus orientalis L) საქართველოში აღრიცხული ჭადრის საუკუნოვანი ეგზემპლარებიდან ყველაზე ასაკოვანია. შესაბამისად, ჭადარი, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ხე, რომელიც წარმოადგენს ქალაქის სავიზიტო ბარათს, ამავდროულად არის კულტურული ღირსშესანიშნაობა დასაჭიროებს დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს.

2024 წელს ჭადრის ხესთან დაკავშირებით დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- დროებითი საინფორმაციო/გამაფრთხილებელი დაფა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ჭადრის ხესთან დაკავშირებით წლის განმავლობაში დაგეგმილი/მიმდინარე სამუშაოების შესახებ;
- ხის გარშემო არსებული მოძველებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის და ახლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;
- ხის გარშემო არსებული მოძველებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის და ახლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
- კვლევითი სამუშაოები, დიაგნოსტიკა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა;
- ჭადრის ხის სხვლა-ფორმირების სამუშაოების შესყიდვა;
- საინფორმაციო დაფის მოწყობა.